№ 132. ივნისის 20, ოთხშაბათი. 1866—1884 ივნისის 20, ოთხშაბათი. № 132.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-
აროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; უთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე ცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზე“

ნახევარის წლით

ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი.

რადგანაც უფლება, აკაკის თხზულების გამოცემისა საკუთრად მე შევიძინე, ამისათვის ვსთხოვ ყველას, რომ მისი ნაწერებიდგან, რაც კი დღემდი ყოფილა დაბეჭდილი, აღარავინ გადაბეჭდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვეპყრობი კანონის ძალით.

(5—4) ვარლამ ჭილაძე.

## შინაური ქრონიკა.

== ფოთიდამ დაწვრილებით გვწერენ ფოლკენგაგენის ამბავს, რომელსაც ამ ორის კვირის წინად დაეცნენ ავაზაკები, გაცარცვეს და რამდენსამე ადგილს მძიმედ დასჭრეს: მაისის 28—გვწერს კორესპონდენტი—ჩვენი ფოთის ნავთ-სადგურის მკეთებელი ბ-ნი ფოლკენგაგენი მოემგზავრებოდა ქ. თბილისიდამ ფოთში და თან მოჰქონდა ფულები მუშებისათვის დასარიგებლად. ფოთის რკინის-გზის ვაგზალზე რომ ჩამოხტა, მას შეეგება მისი საქმეების გამგე და მმართველი ბ-ნი ზაიდებუროვი; ორივენი ჩასხდენ ერთად ფაიტონში და გასწიეს თავიანთ სახლისაკენ დიდ კუნძულზედ. შუა გზაზედ რომ მიატანეს, მათმა ცხენების გამრეკმა შენიშნა, რომ ერთს ალაგს ბოგირი ანგრეულია და უეცრად შეაჩერა ცხენები. ამ შეჩერების დროს იქით-აქეთ გზის ნაპირებიდგან (ქალაა გზის ნაპირებზე) გამოცვივდენ ჩასაფრებულნი ავაზაკნი, რიცხვით რვა კაცი, რომელნიც ერთბაშად შემოერტყნენ გარშემო ფაეტონში მყოფთა და ამოღებული ხანჯლებით დაუწყეს ჩეხა ბ-ნს ფოლკენგაგენს და ეუბნებოდენ—ფულები მოგვეციო; ამ დროს ფოლკენგაგენმა ამოიღო რევოლვერი და მიუშვირა ავაზაკებს, მაგრამ, ვიდრე მოასწრობდა გასროლას, ერთმა ავაზაკთაგანმა ეს რევოლვერი ხელიდგან გამოაცალა და თვითონ იმასვე მიუშვირა და ორჯერ ესროლა, მაგრამ ტყვია ასცდა ფოლკენგაგენს. ამ უეცარი და უბედური შემთხვევის დროს ბ-ნმა ზაიდებუროვმა, რომელიც მარცხენა ხელში დაიჭრა მცირედ, იკადრა თავის ბატონის მიტოვება ავაზაკების ხელში და თვითონ შეძვრა ჩირგვებში. ავაზაკებმა ფოლკენგაგენ საცოდავად დასჭრეს თავში, პირის სახეში და წაართვეს თორმეტი ათასი მანეთი, როგორც თვითონ ფოლკენგაგენი ამბობს.

ამ გაბედულის ბოროტ-მოქმედების ამბავი — განაგრძობს კორესპონდენტი—რასაკვირველია, იმავე ღამესვე შეიტყეს, როგორც ადგილობრივმა პოლიციამ, ისე მცხოვრებლებმაც და იმავ წამსვე პოლიციამ ისე მსწრაფად, დაუყოვნებლივ იმოქმედა, რომ, ვგონებთ, ნახევარ საათის განმავლობაში ამ შემთხვევის შემდეგ, ერთობით სულ ყველა გასავლელი გზები, როგორც ფოთში, აგრეთვე ფოთის გარეშემო, შეკრულნი იყვნენ და მდევარნი გაგზავნილნი ყოველ-მხრივ. ესრეთი მსწრაფლნი განკარგულებანი პოლიციისა არ დარჩენილან უნაყოფოდ, ასე რომ ერთმა აქაურმა პოლიციის პრისტავმა ს. კ—ძემ ორი იმ ავაზაკთაგანი მეგრელი მეორეს დღეს, ესე იგი, მაისის 29-ს გაკოჭილი მოიყვანა და ჩააბარა მართლმსაჯულებას. ესენი ჩვენების ჩამორთმევისათანავე წმინდის გულით გამოტყდენ თავიანთ დანაშაულობაში და კიდევაც უჩვენეს იმ პირებზედ, რომელნიც იმყოფებოდენ მათთან ამხანაგებად.

დღეს მთავრობამ კარგად იცის, ვინც არიან ეს ავაზაკები და კიდევაც თითქმის ყველანი დაჭერილნი ჰყავს. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ გვარი საქმეები ჩვენს ქალაქში წინედაც ბევრი მომხდარა, მაგრამ ამისთანა სამაგალითოდ არ ყოფილა აღსრილი საქმე და არც ავაზაკები დაუჭერიათ ასე ცხელს კვალზედ, როგორც ახლა.

ქერძოდ ისმის,—ამბობს ბოლოს კორესპონდენტი—რომ ჩვენი გუბერნატორის შუამდგომლობით ეს ავაზაკები დაისჯებიან სამხედრო მსაჯულების წესითაო, მაგრამ რამდენად მართალია ეს ხმა—ვერას ვიტყვი.

== მკითხველს ეხსომება, რომ ერთმა მწერლობისა და ლიტერატურის მოყვარემ ამ სამის წლის წინად გადასდო 6000 მან. ძველის მწერლობის საუკეთესო ბელეტრისტიულ თხზულებათა დასაბეჭდად. ამ ფულიდამ ერთი ნაწილი დაიხარჯა კიდეც „ვისრამიანის“ დაბეჭდვაზე, რომელიც მზად არის და მოკლე ხანში გასასყიდადაც დაურიგდება წიგნის მაღაზიებს. ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ მეორე წიგნის თხზულების ამორჩევას აპირობენ დასაბეჭდად და, თუმცა ჯერ-ჯე-

«დროების» ფელეტონი ივნისის 20-ს

## სოფლის სურათი.

თონეთის (მანგლისის ახლო) სკოლის სარევიზიო ანგარიში.

(დასასრული *)

### II

სასკოლო სახლი თვით სოფელში სდგას. სკოლა ორს ოთახშია მოთავსებული; ერთში ყმაწვილები სხედან, მეორეში მასწავლებელი სცხოვრობს. შენობა ხისაა და კედლები გაჯითაა გალესილი, მაგრამ ისე თხლად, რომ სიცივე ადვილად შემოდის ოთახში. ჭერი არ არის რიგიანად დახურული, მიწა თხლად აყრია. ამის გამო ზამთარში თურმე სახლში საშინელი სიცივე ყოფილა, მით უმეტეს რომ სოფელი თონეთი საშინელ ქარის ალაგზეა გაშენებული. ყოველის მხრით შეუძლიან მიუდგეს ამ სოფელს ქარი. ამას გარდა, ერთი დიდ ნაკლულევანობა აქვს ამ სახლს: ქვემო სართულში გლეხი სცხოვრობს და დაანთებენ თუ არა ცეცხლს მაშინვე ზედა სართულში ბოლი ამოვარდება და მასწავლებელს და მოსწავლეებს ბედის-წერას აწყეელინებ ეს ფაქტი ჩემის თვალით ვნახე თვით ეგზამენის დროს. სახლის ქირად რვა მანეთს აძლევენ თვეში.

ზოგიერთ გლეხთაგანს, როგორც ეტყობოდათ ყრილობის დროს, ამავე სახლის ყიდვა სურდათ სასკოლოდ სიიაფისა გამო, მაგრამ რჩევით დავაჯერეთ, რომ ეგ სახლი სკოლისათვის სრულიად გამოუდეგარი შეიქნებოდა. მერმე ყრილობა დათანხმდა ახალი სასკოლო სახლის აშენებაზე. ვასინჯეთ რამდენგანმე სკოლის ასაგები ალაგი, მაგრამ ყველაზე უფრო მოხერხებულად აღმოჩნდა ეკლესიის მახლობლად მდებარე ალაგი, რომელიც ერთის ყურით სასაფლაოს ეხება, მაგრამ ამ შესახებ ხაზთან ისეთი ზურგი გადადის, რომ სასაფლაოდგან ნაწრეტი წყალი ერთი ცვარიც არ გადმოვა სკოლის ეზოში, რადგანაც სასაფლაო სრულიად წინააღმდეგი მხრისაკენ არის დაქანებული. ამას გარდა, ახლად მიცვალებულების აქ დასაფლავება მთავრობას აღუკრძალავს, თუმცა კი ჯერ სისრულეში არ მოჰყავთ თურმე მცხოვრებლებს ეს განკარგულება. მე მითხრეს მცხოვრებლებმა, რომ თუ სკოლისთვის სავნებელი იქნება მიცვალებულთა აქ დასაფლავება, სასაფლაოს იქ გადვიტანთ, სადაც მთავრობამ მოგვიჭრა სასაფლაოსთვის ალაგიო.

ყრილობამ ჩემს აქ მყოფობაში შემოავლო წრე სასკოლო ალაგს, ამ წრეში ეზოც ფართო რჩება. იყო მეორე ალაგი სკოლისათვის უფრო თავისუფალი და ფართო, მაგრამ სოფელზე ცოტა მოშორებითაა და ამასთანავე სოფლისა და მის შუა პატარა ხევი ჩადის, რომელმაც თურმე ძლიერ ადიდება იცის, და ეს, ცხადია, ხელს შეუშლიდა პატარა მოსწავლეებს. სკოლის ასაშენებელს ქვასა და ხის მასალას ბ. კონსტანტინე იოსების-ძე ყავრიშვილი შეჰპირდა სოფელს. ამასთანავე იკისრა რვა უღელი ხარ-კამეჩის თხოვება მასალის დაგროვების დროს. ფულად 50 მ. შეუწირავს, როგორც, მგონი, გაზ. „დროებაშიაც“ იყო გამოცხადებული: იგივე ყავრიშვილი ითხოვს, რომ, თუ შესაძლებელია, საზოგადოების მმართველობამ მოიპოვოს საშუალება ოც-და-ხუთს თუმნამდის, იმ ფულს გარდა, რომელიც საზოგადოებას წარმოუდგენია სამმართველოსათვის. ეგ საშუალება პირველადვე გაამხნევებს საზოგადოებას და შესაძლებელია კარგი შენობა გავმართოთ. თუმცაღა მცხოვრებლები ძლიერ მოწადინებულნი არიან სკოლის საქმისთვის, მაგრამ ფულზე ხელი ვერ უწვდებათ ჯერ და სკოლას კი თითქმის ას-ორმოც-და-ათ თუმანზე მეტი უნდება, რაც უნდა ზოგვითა და ყამით ააშენონ. ბ. ყავრიშვილი ასე ფიქრობს შეღავათის მიცემას: კარფანჯარას იაფად ვიშოვი თვით თბილისშიო — იქ შევიგულე დამზადებული კარ-ფანჯარა, რომელიც პატრონს ვეღარ მოუხმარნია და იაფად ჰყიდისო.

აქ, სხვათა შორის, გამოითქვა ის აზრი, რომ სკოლა და სასოფლო სამმართველო ერთად აეშენებინათ, რადგანაც შრომა და ფული უფრო ცოტა დაეხარჯებოდათ, მაგრამ, როგორც იყო, დავაჯერეთ ყრილობა, რომ იმ პლანზე სამმართველო სახლის და სკოლის აგება, რომელიც მაზრის უფროსს გამოუგზავნია, მათთვის სრულიად უსარგებლო იქნება და სკოლა სკოლობას ვერ გაუწევს მცხოვრებლებს; ამისათვის უმჯობესი იქნება სკოლა ცალკე აშენდეს. უმეტესობა დაადგა ამ აზრს, მაგრამ, თუ საზოგადოება არ შეუდგა ცალკე სკოლის შენებას, შესაძლებელია, რომ ეკონომიურმა მოსაზრებამ დასძლიოს და სკოლა სამმართველოს ამოუკედლონ. ეს გარემოებაც უნდა იქონიოს სახეში საზოგადოების მმართველობამ, რომ, თუ რამე დასახმარებელი საშუალება მოეძევება მას, დროზე მიაწვდინოს, რომ სკოლის ცალკე შენებას ახლავე შეუდგნენ მცხოვრებლები.

*) იხილე „დროება“ № 131.

რობით გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ამბობენ, რომ «ამირან-დარეჯანიანის» არჩევა განუზრახავთო. ამ თხზულების დამწერად სთვლიან მოსე ხონელს, მე-XII საუკუნის მწერალს. ეს თხზულება, ახლად გადაწერილი, დღეს „წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში ინახება და ჩამოტანილია პეტერბურგიდამ, სადაც იგი გადაუწერინებიათ დ. ჩუბინაშვილის ძველი ხელთ-ნაწერიდამ.

― გაზ. „კავკაზს“ შეუტყვია, რომ იაფი სასადილოსი და ერთს სახლში იაფად ცხოვრების საქმე 1-ლის გიმნაზიის შეგირდებისათვის უკვე გადაწყვეტილა. ივნისის 15 დაუმტკიცებიათ პირობის ქაღალდი და ეს საქმე გადაუციათ ბ. ნაზაროვისათვის. მას მიეცემა სუბსიდია 600 მან.

― „ახალი მიმოხილვა“ ამბობს, რომ ახლად დანიშნულს ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსს თავს-მჯდომარეს, ბ. ბონჩაროვს, იუსტიციის მინისტრის მიერ ის მინდობილებაც მიუღია, რომ რევიზია მოახდინოს საოლქო სასამართლოებისა სრულიად საოლქოში იქ, სადა საჭიროდ დაინახავს.

― ბ. მელიქ-ყარაგოზოვის მაგიერ, რომელსაც უარი უთქვამს ნოტარიუსობაზე, ოლქის სასამართლოს დაუნიშნავს ქალაქ ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ტურკოვსკი («კავკაზი»).

― გაზ. «კასპიის» სიტყვით, მატყლის შემოტანისათვის სპარსეთიდამ რუსეთში ნება დაურთვიათ, მაგრამ საკონსულო მოწმობა კი უნდა წარმოადგინონ შემომტანთა იმის შესახებ, რომ მატყლი საღის თხა-ცხვრისაა.

― იგივე გაზეთი სწერს, რომ ჯევათის მაზრაში მოუკლავთ ყაჩაღთა ცნობილი ბელადი ქერბალაი-ალი-ჰუსეინი ერთის თავის ამხანაგითურთ.

― გაზ. «ყარსში» ბაღდადის ვილაიეტში გაჩენილის ჟამის თაობაზე ვკითხულობთ, შემდეგს ოფიციალურ ცნობებს, რომელნიც მას ბაღდადის კონსულისაგან მიუღია: ჯერ ისევ მაისის დამდეგს ბერდეზებადში, ჯესამში, არაბთა ტომის ბენი-ლამის მოსახლეთაშორის გაჩენილა ავად-მყოფობა, რომელიც გამოუკვლევია ამავე ვილაიეტის ექიმს ლიუბიჩს და ჟამად უცვნია. ბადამდების სენის გაჩენის უმალვე 87 კაცი გამხდარა ავად და მათ შორის 38 მომკვდარა.

ყარსის ოლქის ადმინისტრაციას მიუმართავს სხვა-და-სხვა საშუალებათათვის ავად-მყოფობის გადმოტანის ასაცილებლად ყარსის საოლქოში.

― ამავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის სამხედრო შტაბს ხელი მიუყვია სამხედრო და სასტატისტიკო აღწერისათვის იმ მაზრათა და თემთა, რომელნიც უკანასკნელ ომის შემდეგ შეიძინა მმართებლობამ ოსმალეთისაგან. ბათუმის მხარესი და არდაგნისა და ოლთისის მაზრის აღწერა მიუნდვიათ პოდპოლკოვნიკის ლისოვსკისათვის.

― სპარსეთში, ქ. თავრიზს, დაუწყვიათ მეოთხე გაზეთის ბეჭდვა, სახელად «მედენიეტ», რაიცა ნიშნავს «პოლიტიკა». მის რედაქტორად არის ერთი სწავლული სპარსელი, მცოდნე ოსმალურისა და არაბულის ენისა.

ამ ოთხ გაზეთს შორის ორი «ირანი» და „იტელა“ თეირანში გამოდის, «ფერხენგ» ისპაანში («არძაგანკ.»).

― ტფილისში ჩამოსულა მოკლე ხნით რუსების ცნობილი მწერალი და ლიტერატორი ა. ა. პოტეხინი («ახ. მიმოხილ.»)

---

## «დროების» კორესპონდენცია

―

ს. ველის-ციხე, თიბათვის 10-ს. ცოტა არ არის, რომ თითქო ჩვენის ცხოვრების წარმატება ველის-ციხესაც დაეტყო: წნულის სახლები ევროპიულ შენობებად გადიქცნენ და მათ კოპწია ქალსავით მორთულ ბაზარს, აგერ ჩქარა ერთი წელიწადი გახდება, რაც მიემატა პატარა, მაგრამ ლამაზი აფთექა, რომლის სარგებლობაში ჩვენის გლეხ-კაცობისათვის ხომ ეჭვი არ უნდა ჰქონდეს არავის. წინად და ეხლაც მოწმად დავესწარი აფთექის დაარსებას და გაკვირვებული ვარ იმ თანაგრძნობით, რა თანაგრძნობითაც ეკიდება ჩვენი გლეხ-კაცობა ამ ახალს დაწესებულებას, რა კი ჰხედავს, რომ იგი მისთვის სასარგებლოა და გამოსაყენებელი.

წინედ, ვიდრე აფთექა დაარსდებოდა, გლეხი რომ ანთებით გახდებოდა ავად, საბრალოს სოფლის მცოდნე (?) დედა-კაცები (ჯერაც საკმაოდ მოიპოვებიან ესენი ჩვენში!) მოხარშულ ბალახ-ბულახს აღებდენ და თავი რომ ასტკივდებოდა, იგინივე შავბალახის წვენითა ჰხეთქდენ ავადმყოფსა. ამ გვარად ავად-მყოფების წამლობას ცხადია რა შედეგებიც მოჰყვებოდა, ისე რომ თუ ერთს არჩენდენ—ორსა და სამს ჰხდიდენ ხოლმე თავიანთ ექიმბაშობის მსხვერპლად! აი ამ მდგომარეობაში მყოფ გლეხთ, სწორედ რომ ციურს მანანასავით მოევლინა ბ. ბერიევი, რომელმაც გაუხსნა ჩვენ ველის-ციხელებს აფთექა და უნდა სწორედ ვსთქვათ, არც შესცდა, რომ თავის აფთექის გასახსნელად ამოირჩია ს. ველის-ციხე. ამ სოფელს გარშემო ისე ახლო-ახლო აქვს წვრილი სოფლები რომ, ვინიცობაა, რომელსამე მათგანში ავადმყოფი იყოს, თამამად შეუძლიანთ თვით დედა-კაცებსაც კი ჩამოხვლა ველის-ციხეში და სარგებლობა აფთექითა. ამის გამო დასაწყისიდგანვე აქამომდე ველის-ციხური აფთექა კეთილ ნიადაგზედა სდგას და საკმაოდაცა აქვს შემოსავალი.

მაგრამ არ შეგვიძლიან ჩვენის მხრით, არ შევნიშნოთ ბ. ბერიევს, ერთი ნაკლულევანება; ეს უფრო იმისათვის, რომ ამ ნაკლულევანების აცილებას თვით საზოგადო ინტერესიც მოითხოვს... როგორც ზემოთა ვსთქვით, ძრიელს სამსახურს უწევს აფთექა გლეხ-კაცობას, მაგრამ ბ. ბერიევს რომ თავის აფთექასთან ერთი დახელოვნებული ფერშალიცა ჰყავდეს, ჩვენის აზრით, უფრო დაიმსახურებს საზოგადოების ყურადღებას და უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლება საზოგადოებისათვის.

---

ახლა ამ ერთი კვირის განმავლობაში მმართველობამ უნდა გაგზავნოს სკოლის პლანი და უნდა აცნობოს—ფულად რავდენის დახმარება შეუძლიან, რომ ფულების გაწერის დროს შესაფერი გადასახადი დაიდონ მცხოვრებლებმა.

### III

მასწავლებელს საზოგადოების გული სრულად მოუგია. მე მითხრა რამოდენიმე გლეხმა—თუ ეს მასწავლებელი არა, სხვისაგან ღმერთმა დაგვიფაროსო. ეს გვესარჩლება ყველგანაო. ვიწერს სხვა-და-სხვა საბუთებს, წიგნებს, სავასხო ბარათებს, თხოვნებს და სხვ. მასწავლებლის განჯინაში, ჩემდა სასიამოვნოდ, მე დავინახე სხვა-და-სხვა შუშათა გროვა. პიტნისა და ინოზემცევის კაპლები, შუშხუნა, საფალარათო და საოფლე ჩაი უგულებია მსწავლებელს და რუსული კარაბადინის შემწეობით ბევრი ავადმყოფი გაუნთავისუფლებია ავად-მყოფობისაგან. ამ წელში სულ რვა მანეთის წამალი მოუახმარე საზოგადოებას იმ მცირე ჯამაგირიდგან, რომელიც მე მეძლევაო.

ამ გვარად გულ-მოდგინე კაცი, რაც უნდა მცირე ცოდნისა და განვითარებისა იყოს, თუ ნიჭი ხელს უწყობს, ცხადია, სასარგებლოდ იმუშავებს საპედაგოგო ასპარეზზე; მაგრამ საშუალების უქონლობა და სიღარიბე კეთილს სურვილს გულშივე უკლავს პატიოსან მუშაკს და ამ მასწავლებელსაც მგონი ასე მოუვიდეს. მგონი ველარ გავძლო მე აქაო, მითხრა ამოხვრით: ოც-და-ხუთი მანეთი თვეში ნახევრობით არა მყოფნისო. ორჯერ ტფილისში ჩამოსვლაზე ერთი თვის ჯამაგირი არ მეყოფაო. «ივერიას» და „დროებას“ ჩემი ჯამაგირით ვიწერ და რუსული საპედაგოგიო ჟურნალის გამოსაწერად მე არაფერი მრჩებაო. აი ეხლა სახლში წასვლა მინდა, მამა ავად-გამხდომია და გზის ფული არ მექნებაო და ტანისამოსი რომ გამოვიცვალო, სამ თვეს მარხულობა დამჭირდებაო. მე ეს ჭეშმარიტებად მიმაჩნია და იმდენად სამართლიანია მსწავლებლის საჩივარი, რომ, თუ სამმართველოს უნდა მასწავლებლის ზნეობრივად გაღონიერება და გულის მოგება, ცოტათი მაინც უნდა შეუმსუბუქოს გაჭირებული მდგომარეობა: ამ გაჭირების დროს შეეწიოს ფულით და მომავალი წლისათვის მიუცილებლად გამოუწეროს რამოდენიმე (ორი მაინც) რუსული საპედაგოგიო ჟურნალი. ფულით შემწეობას, რაც უნდა ცოტა იყოს იგი, მაინც დიდად მიიჩნევს მასწავლებელი და ამ გვარად გამხნევებული უფრო მუყაითად და მხნედ მოეკიდება თავის საქმეს. ახალ-გაზდა და ხასიათ-გაუმაგრებელს კაცს ამ გვარ საქმეში, როგორიც საპედაგოგიო საქმეა ჩვენში, განსაკუთრებით ისეთს მივარდნილს ალაგს, როგორიც თონეთია, სადაც ერთს წერა-კითხვის მცოდნე კაცს ვერ იპოვი, ვამბობ, დიდი ზნეობრივი დახმარება ეჭირება. ამ შემთხვევაში, თუ «მმართველობამ» ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ამ საგანს, მე მგონი, პატიოსანს და რიგიან მშრომელს ხალხს შემოეცლის და უიმისოდაც მძიმე საქმე უფრო და უფრო დამძიმდება. კარგი იქნებოდა, რომ სამმართველოს ცოტაოდენი წიგნებიც მოეპოებინა და ხანდახან ორ-ორი თვეობით ეთხოვებინა ხოლმე მასწავლებლებისათვის.

### IV

ჩემი თან-დასწრებით მასწავლებელმა მისცა გაკვეთილი ქართული ენისა, თვალ-საჩინო სწავლისა და არითმეტიკისა. ქართული ენიდგან (დედა-ენა) «ვაჟკაცობა» წააკითხა. სტატიის გარკვევაში დაცული იყო შესაფერი პედაგოგიური კანონები, მხოლოდ ხშირად ერთსა და იმავე მოსწავლეებს ჰკითხავდა ხოლმე, რის შესახებაც გაკვეთილების შემდეგ მოვილაპარაკეთ. სტატია ისე გარკვეული და შეგნებული აღმოჩნდა, რომ ერთმა ქალმა სრულიად ზეპირად და თავის სიტყვით გარდმოგვცა. არითმეტიკიდგან გაარკვია რიცხვი 16-ტი შეედური საანგარიშოს შემწეობით და ზედ დართო გამოცანები, ზოგი თავისით შედგენილი და ზოგი ევტუშევსკის სახელმძღვანელოდგან. თვალ-საჩინო სწავლიდგან განიხილეს იხვი; ესეც დისტერვეგის სახელმძღვანელოდგან იაბლონსკის სურათებზე.

ამ თვის 6 ეგზამენი მოვახდინეთ; ეგზამენზედ დაესწრნენ მშობლები და მატ. ყავრიშვილი. ჩვენგან დასმული ბალები სრულიად ეთანხმებოდენ მასწავლებლისაგან აღნიშნულს ბალებს. საზოგადოდ სწავლა სრულის წარმატებით არის მომართული, რამდენადაც შეეფერება დროს, სკოლის მოწყობილობას და თვით მასწავლებლის და მოსწავლეთა ვითარებას. ყოველივე ამიდგან ერთად სჩანს მასწავლებლის ერთგულება და ენერგია.

აი თქვენა ჰხედავთ აფთიაქში წამლის მთხოვნელ გლეხს, რომელიც ავადმყოფის მდგომარეობას მხოლოდ პირად უხსნის და აფთიაქარიც უჯერებს მას და ამ გვარად აკმაყოფილებს ხოლმე მთხოვნელს წამლითა. ასეთი მოქმედებით, ჩვენის აზრით, ბევრჯერ უნდა ხდებოდეს შეცთომილება, უფრო იმისათვის, რომ არის ბევრი იმ გვარი ავათმყოფობა, რომელიც თვით ავათმყოფს არ შეუძლიან განმარტოს, არ იცის, რა არის და რა ავათმყოფობის სახელი უწოდოს თავის ავათმყოფობასა და ავათმყოფის პატრონი კი აფთიაქარს გარეგან შეხედულობით უხსნის, მაგ. ასე: «აი, შენი ჭირიმე, შიგნიდგან გულთანა სტეხს», ან კიდევ: «მუხლები ეხუთება, ხველა აქვს» და რა მიზეზებით, რა რიგად — ეს მთხოვნელმა სრულებით არ იცის და ვერც უხსნის აფთიაქარსა. აფთიაქარიც, თავისის მოსაზრებით (?), უმზადებს წამალს და ჯეროვანის დარიგებით ისტუმრებს გლეხსა.

თქმა არ უნდა, რომ ამ გვარად მიცემულ წამლებს ბევრჯელ, სიკეთის და სარგებლობის მაგიერ, ზარალი უნდა მოჰქონდეს: ხოლო, თუ ჰსურს, რომ დაუვიწყარი სიკეთე გაუწიოს ბ. ბერიევმა სოფელს, ვიმეორებთ, საჭიროა ზემოხსენებული ფერშლის მოწვევა, რომელიც ყოველ დროს და საჭიროებისამებრ მოივლის სოფლებს, ჰნახავს ავად-მყოფებსა და ყველას ჯეროვან წამალს აღირსებს.

რადგანაც ჩვენ შევეხეთ ფერშლის საჭიროებას, ორიოდ სიტყვასაც ვიტყვით ეხლანდელ ველის-ციხის ფერშალზედ: ს. ველის-ციხე იმ გვარი გულუხვ სოფელთაგანი არის, რომ ერთი და ორი კაცის იოლად წაღება ყოველთვის თამამად და შეუმჩნევლადაც შეუძლია — მაგრამ მაინც ყოველთვის ჩვენს სოფელს ეწვევიან ხოლმე იმ გვარი ფერშლები, რომელთაც სხვა სიკეთესთან ერთი სიკეთეც სჭირთ, სახელდობრ, ისა რომ დთხოვნილნი არიან ხოლმე სამსახურიდამ. სწორედ ერთი ამათგანი არის ეხლანდელი ველის-ციხის ფერშალი, ვ. ი—ჩი. როგორც ზემოთა ვსთქვით, სოფელს იგი მიჰყავს ოლად, და იმანაც თავის მხრით სოფლის ინტერესებს რომ მიაქციოს ყურადღება, არ იქნება ჩვენის აზრით, ურიგო; თუ არა და თავის ტკივილს, ხველებას, ციებ-ცხელებას, და გულს ტკივილს რომ ერთი და იგივე წამალი ახმაროს, უნდა ვსთქვათ, სარგებლობის მოტანის მაგიერ, შესაძლოა ბევრი ზარალიც მოუტანოს უმეცარ და უპატრონო გლეხობას.

როგორც მეც დავრწმუნდი და აქაც მითხრეს, წრეულ კარგს მოსავალს მოველით სიღნაღის მაზრაში, თუ ღმერთმა ცა და ჰაერი დაგვიმშვიდა.

ველის-ციხელი.

---

# უცხოეთი.

**ავსტრო-ვენგრია.** „მოსკოვის უწყებებს“ სწერენ ვენიდგან: «იმ განხეთქილების შესახებ, რომელიც სერბიას და ბულგარიას მოუხდათ ურთიერთ შორის, აქ ჯერ-ჯერობით ბევრი არა იციან რა; მაგრამ აქაურმა ოფიციოზურმა პრესამ კი სერბიის მმართებლობის მხარე დაიჭირა; ეს ნამდვილად ასეც უნდა იყოს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ავსტრიის მმართებლობა ყოველ გვარს საშუალებას ხმარობს სერბიაში ყოველ სახელმწიფოზედ მომეტებული გავლენა იქონიოს, და თვით მეფე მილანიც ყოვლის ღონის-ძიებით ცდილობს ავსტრია მისი მომხრე იყოს, რათა, ამითიც არის, მოიპოვოს პატივისცემა სერბიის ხალხისა.

«რაიცა შეეხება სერბიისა და ბულგარიის შუა ატეხილს უკმაყოფილებას, დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დიდიხანია მხადდებოდა ეს უკმაყოფილება და ამისათვის მოსალოდნელიც იყო იგი. მას აქეთ, რაც სერბიაში უკანასკნელი აჯანყება მოსპეს, ბელგრადში უკმაყოფილოდ უყურებდენ იმ გარემოებას, რომ ბულგარიამ ბინა მისცა თვისს სამფლობელოში სერბიის ემიგრანტებს. სერბიის მმართებლობას იმედი ჰქონდა, რომ ბულგარია არ მიიღებდა ემიგრანტებს და განდევნიდა მათ თვისი საზრძანებლიდგან და, ამის მაგივრად, სერბიის მოსამზღვრე მაზრებში დევნილმა დასმა უცებ გამოსცა მანიფესტები, რომლებშიაც ვრცლად იყო აწერილი ის ძალადობა, რა ძალადობასაც ხმარობდა სერბიის მმართებლობა უკანასკნელი ამორჩევების დროს, და ის ტანჯვა-წვალება, რომელშიაც ჰყვანდა მას ციხეებში ესრედ წოდებულნი პოლიტიკურნი დამნაშავენი. ამათ დანაშაულს შეადგენს მარტო ის, რომ არ უნდოდათ ეხლანდელი სერბიის მინისტრები. ამ ბროშიურების გავრცელებამ ძლიერ გააბოროტა სერბიის მთავრობა და ამ გაბოროტებამ გამოიწვია ის განხეთქილება, რომელიც სერბიასა და ბულგარიას აქვთ ამ ჟამად ერთი-ერთმანეთში.

«აქ, ვენაში, ყოველი საშუალებით დაეხმარებიან სერბიას და ყოველს ღონის-ძიებას იხმარებენ გაამართლონ მისი საჩივარი ბულგარიაზედ. აქაურს ოფიციოზურს წრეებში აღარც კი მალევენ, რომ მმართებლობას ძლიერ მარჯვე შემთხვევა აქვს ეხლა ბულგარია შეურაცხჰყოს და ამ გზით რუსეთიც დიპლომატიურად დაამარცხოს. თუ ამ გვარი ლაპარაკი გაზვიადებულია, აქაურ გავლენიან წრეთა სურვილს და ფიქრს მაინც ნათლად გვიხატავს.»

—

**სერბია.** ეხლა ეჭვი აღარ არის, რომ სერბიისა და ბულგარიის საქმე მშვიდობიანად გათავდება; ამას ამტკიცებენ ვენიდგან მოსული ამბები. აი რასა სწერს ერთს ფრანცუზულს გაზეთს მისი ვენელი კორესპონდენტი: «დიდთა სახელმწიფოთა მმართებლობათ დაინახეს, რომ სერბიის მმართებლობას მეტის-მეტად აჩქარებით უმოქმედნია და ამისათვის ამ საქმეში პასუხისგებაც იმან უნდა იტვირთოსო. თითქმის აქ, ვენაშიც კი, სადაც ფრიად თანაუგრძნობენ სერბიას, ამ უკანასკნელს დროს დარწმუნდენ, რომ სერბიის მმართებლობას უფრო მომეტებულის სიფთხილით და უფრო დიპლომატიურად უნდა ემოქმედნა».

—

**საფრანგეთი.** წარსულ №-ში ჩვენ ვაცნობეთ მკითხველს, რომ ივნისის 9-ს პარიჟის მუნიციპალურმა რჩევამ გადასწყვიტა მოსთხოვოს მმართებლობას პოლიტიკურთა დამნაშავეთა სრული პატიება (ამნისტია), ახლად მოსული გაზეთებიდგან ვტყობულობთ, რომ «მესამე რესპუბლიკის» მმართველობას არ მოსწონებია და რესპუბლიკის პრეზიდენტს კანონიერად არ უცვნია ხსენებული რჩევის გარდაწყვეტილება. აი რასა სწერს ამ საგნის შესახებ ბ. გრევი თავის დეკრეტში, რომელიც ივნისის 13 რჩევის კრებაში წაუკითხავს პრეფექტს: «იმისა გამო, რომ მუნიციპალური რჩევის ივნისის 9 სხდომაზე დადგენილი განაჩენი პირდა-პირ ეწინააღმდეგება 14 აპრილის 1871 წ. კანონის მე14 მუხლს, რომელიც ამბობს: „მუნიციპალურს რჩევას არა აქვს უფლება აკეთოს სხვა რომელიმე საქმე გარდა საქალაქო საქმეებისა, რომელნიც განმარტებულნი არიან მომქმედი კანონმდებლობით მუნიციპალური რჩევის შესახებ მუხლებში, და თუ სხვა რომელსამე საქმეს გადასწყვეტს, ეს გადაწყვეტილება არ იქნება კანონიერად აღიარებული, — რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოხსენებისამებრ შინაურ საქმეთა მინისტრისა დაადგინა: ზემოხსენებული გარდაწყვეტილება, მიღებული რჩევის მიერ ივნისის 9 1884 წ. სხდომაზე, უკანონოდ ჩაითვალოს“.

—

**ეგვიპტე.** გაზეთებში მოყვანილია კაიროდგან მოსული ამბავი, ვითომც მაჰდის თავი დაენებებინოს ელ-ობეიდისთვის და თვისის ჰარემ-ხანით და საუნჯითურთ მისულიყოს იმ ბუნებითს სიმაგრეში, რომელიც იმყოფება ამ ქალაქიდამ ხუთის დღის სავალზე სამხრეთისკენ და რომელსაც ეწოდება თებ-ელ-ჰადირი. როგორც იწერებიან, ცრუ-წინასწარმეტყველს ერთი საშიშარი მტერი და მოწინააღმდეგე გამოსჩენია და ძლიერ დაუმცირებია ხალხის თვალში მისი ძლიერება. ეს მტერი არის შეიხ სოლეხი, ჭაბაბიშის თემის წინამძღოლი. მაჰდის ამ შეიხის ძმა მოუკლავს და შეიხსაც ძმის სისხლი იმით გადაუხდია, რომ თვისი თემის არაბები მიუმხრია თავისკენ და მაჰდის საქმეზე ხელი აუღებინებია. ჭაბაბიში-არაბები, რომელნიც სცხოვრობენ ღონგოლისა და დარფურის შუა, თითქმის სუდანის ყოველ თემზე ძლიერნი არიან; მათ შეუძლიანთ, როცა კი საჭიროება მოითხოვს, 6,000 კარგად დაიარაღებული კაცი გამოიყვანონ ბრძოლის ველზედ.

კაიროდგანვე იწერებიან, რომ ეს თემი დაემორჩილა ინგლისის და ეგვიპტის მმართებლობას იმ პირობით, რომ ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში თავისუფალი იყოს იგი ყოველგვარი გარდასახადისაგან.

ერთი ინგლისური გაზეთის კაიროელი კორესპონდენტი იწერება, რომ მისი ფიქრით, სუდანში მომხდარი აჯანყების თავი-და-თავი მიზეზი ის არის, რომ მცხოვრებლებს მეტის-მეტად ბევრი გარდასახადი ადევთო.

ასიუთიდგან იწერებიან, რომ ზემოეგვიპტის ფინანსური მდგომარეობა, რამდენიც დრო მიდის, იმდენი უფრო-და-უფრო ძნელდებაო. კაიროს მმართებლობამ დააწესა მცხოვრებლებს ხარჯი მოსავლით გადახდესო, მაგრამ ეს წესი სრულებით არ გამოდგაო. ფელახები არ იძლევიან ხარჯსა და დიდს წინააღმდეგობასაც იჩენენო. კაიროდგან ფიცხელი მოწერილობა მოუვიდა ადგილობრივს მთავრობას, დაუყოვნებლივ შეუდგეს ხარჯის აკრეფასა და, თუ საჭიროება მოითხოვს, სასტიკ საშუალებათა ხმარებასაც არ დაერიდება. — ამ ბძანების ძალით ფელახებს გამოუცხადებენ, რომ იმათ, ვინც არ მისცემენ ხარჯს, მიწა ჩამოერთმევათ და გაეყიდებათ. კორესპონდენტი ამბობს, რომ ესეთი მოქმედება ეგვიპტის მართებლობისა არ ივარგებსო: მისი აზრით, მართებლობა ეხლა უფრო არ უნდა მოჰქცეოდა გაღატაკებულს მცხოვრებლებს ასე სასტიკადაო, რადგან მაჰდის მიერ გამოწვეული აჯანყება ჩრდილოეთისკენ უფრო ვრცელდება და მისი მოციქულნი იქ უფრო ადვილად იმხრობენ ხალხს, სადაც მთავრობისადმი უკმაყოფილება ძლიერიაო.

---

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივნისის 18-ს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ფინანსთა-სამინისტრომ წინადადება მისცა ნიჟე-გოროდის იარმარკის კომიტეტს, რათა განიხილოს მან ამ იარმარკობის დროს საქმე ციმბირის რკინის-გზის გაყვანისა ყაზან-ეკატერინბურგზე და უფა-ეკატერინბურგზე; კომიტეტმა თვისი დასკვნა უნდა წარუდგინოს განსახილველად იარმარკის ვაჭრებს და ამ უკანასკნელთა მიერ გამოთქმული აზრი სამინისტროში უნდა წარადგინოს.

«ბირჟის ფურცელში» დაბეჭდილია ბრძანება ნიჟე-გოროდის პოლიციის გუბერნატორისა, რომელიც უცხადებს მუშებს, რომ ყოველი უწესობა მოსპობილი იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრი საშუალებითა და რომ 112 დატუსაღებულ კაცთაგანი, რომელნიც ივნისის 7 ჩხუბობდენ მაკარიის ნაწილში და სცარცვავდენ ებრაელთა, არც ერთი არ იქმნება საპატიმროდამ განთავისუფლებული, ვიდრემდის სამსჯავრო არ განარჩევს მათს საქმეს; პოლიციამ სამი დღის განმავლობაში უნდა წარადგინოს იმ ურიების სია, რომელნიც უკანონოდ სცხოვრობენ აქ.

ემსი. გერმანიის იმპერატორმა ნახა დღეს ვისბადენში საბერძნეთის და დანიის მეფე-დედოფალნი.

მარსელი. მთელი ღამის განმავლობაში ხოლერისგან ხუთი კაცი მოკვდა.

კონსტანტინოპოლე. სანიტარულმა რჩევამ განაგრძო ვადა კარანტინისა იმ საქონელთათვის, რომელნიც საფრანგეთის ხმელთა-შუა ზღვის პორტებიდგან მოაქვთ.

ალჟირი. აქ ახლად მოკრებილს ჯარს ჩხუბი და ცილობა მოუხდა ურთი-ერთშორის და ამის გამო ებრაელთა წინააღმდეგ უწესობაც მოხდა; რამდენიმე ებრაელთა სახლი გაცარცვეს; დამნაშავენი დაატუსაღეს; წესიერება აღადგინეს.

მადრიდი. ტულონში გაჩენილი ხოლერის გამო მთლად საფრანგეთის და ესპანიის სამზღვრის გაყოლებით წესდდება სამხედრო კორდონი; აგრეთვე მოსამზღვრე სტანციებზედაც შვიდი დღის კარანტინი წესდდება.

ივნისის 19-ს

პეტერბურგი. ცეცხლის-გემი რუსეთის საზოგადოებისა «ცარიცა» ივნისის 17 გამოვიდა პორტ-საიდამ; არ ყოფილა შემთხვევა, რომ იმაზედ ავად გამხდარიყოს ვინმე; ამ ცეცხლის-გემმა ყოველს აღმოსავლეთ პორტებში თავისუფლად გასავლელი პატენტები მიიღო.

პარიჟი. გამოჩენილმა სპეციალისტებმა გადამდებ ავად-მყოფობათა საქმეში ბრუაბდელმა და პრუსტმა, რომელნიც მთავრობისაგან იყვნენ გაგზავნილნი ტულონში, პირველად გამოაცხადეს, რომ ეპიდემია სპორადიული ხოლერაა; ეხლა კიდევ, ხოლერის მარსელში გამოჩენის შემდეგ, ამბობენ, რომ ეს ავად-მყოფობა სუსტი აზიერი ხოლერა უნდა იყოს.

ვენა. საფრანგეთის შუა-ხმელთა ზღვის პორტებიდგან და ალჟირიდგან მომავალს გემებს აჩერებენ გასასინჯველად ათს ან თორმეტ დღეს.

ათინა. საფრანგეთის შუა-ხმელთა ზღვის პორტებიდგან მომავალს მგზავრებს და საქონელს რვა დღეს აჩერებენ კარანტინზე.

# განცხადებანი


## თბილისის საქალაქო გამგეობა

ამით ატყობინებს ყველას, რომ ივნისის 25, დღისით 12 საათზე, მის თანა-დასწრებით იქნება ვაჭრობა იჯარით გასაცემად ავლაბრის საქალაქო ადგილისა გაჯის წარმოებისათვის, სივრცით 229 დესიატინა 1560 კვად. საჟ., რომელიც მდებარეობს ქალაქის პირად, ავლაბარში. ვადა იჯარისა 3 წელიწადია პირობის შეკვრის დღიდგან დაწყობილი. იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ შევიდენ ვაჭრობაში, შეუძლიანთ ყოველივე პირობანი შეიტყონ გამგეობის კანცელარიაში $8^1/_2$ საათიდამ 1 საათამდე. (3—1)

სომხის სასულიერო სემინარიის (ნერსესიანის) სამზრუნველო რჩევაში

დღეს ივნისის 20-ს

საღამოს 8 საათზედ მოხდება

ვაჭრობა

ხელმეორედ ვაჭრობის მოუხდენლად იჯარით გაცემაზედ სახლისა და დუქნებისა, რომელნიც შემოსწირა განსვენებულმა ავეტიქა ფიროევმა და მდებარებენ რუსის ბაზარში, № 6 და 11, პირობების ნახვა შეიძლება სამზრუნველოს კანცელიარიაში ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღეებისა დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—3)

შქალიერი ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული. (30—16)

გამოვიდა და ისყიდება:

განკიცხული.

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შავერდოვის წიგნების სააგენტოში.

ქუთაისში. პილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში. (20—18)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1--40 | — — 1—80 |
| — — 1--60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—39)

დაიბეჭდა და ისყიდება

ყველა თბილისის წიგნის მაღაზიებში

თ. გიორგი დავითის ძის

ერისთავის

თხზულება

წიგნი შეიცავს 594 გვერდს. თხზულების დასაწყისში არის დართული პორტრეთი პოეტისა, ლეიბციხში გაკეთებული. იქვე არის მცირე შესავალი თ. აკაკი წერეთლისა და ვრცელი ბიოგრაფიული და კრიტიკული შემეცნება ი. მეუნარგიასი.

ფასი წიგნისა

თბილისში 2 მ. გაგზავნით 2 მ. და 40 კ. საგანგებოდ გაკეთებულის კალენკორის ყდით.

მოკლეს დროში წიგნი გაიგზავნება ქუთაისში და ყველა საქართველოს უეზდის ქალაქებში, საცა წიგნების ვაჭრობა არის.

ქალაქიდამ წიგნის დაბარება ამ ადრესით შეიძლება: Тифлисъ. Въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. (10—7)


## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 ივნისიდამ 1 ივლისამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$

მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$

მეორისა— — —1 გ. 3 კ.

მესამისა — — —1 გ. $2^1/_2$

ჭვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.

მეორისა — — —1 გ. 7 კ.

სუკი . . . —1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. — კ.

მეორისა — — —1 გ. — კ.

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(საშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
[illegible] საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
([illegible]არასკვეობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Iюня 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.